KA021761599832916

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

ქ. თელავი ერეკლე 2-ის N 6

N9/24950

20 / მაისი / 2016 წ.

სსიპ „გურჯაანის მუნიციპალიტეტის
სოფელ კალაურის საჯარო სკოლას"

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში შემოვიდა სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის წერილი MES 0 16 00494854 11.05.2016წ. სკოლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის განხორციელების შესახებ, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" კახეთის მომსახურების ცენტრი არ არის წინააღმდეგი სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N51.03.62.010) განთავსებული ავარიული შენობა-ნაგებობის ჩამოწერა-დემონტაჟი განხორციელდეს ,,საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივის ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 და 2010 წლის 13 აგვისტოს #239 დადგენილებების შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

პატივისცემით,

კახეთის მომსახურების ცენტრის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი — ეკა თოდაძე